№ 168 მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი. წელიწადი მეორე

ფასი 1 მანეთი. ხუთშაბათი 31 ივლისი 1919 წ.

საქართველოს რესპუბლიკა

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა"
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალკე № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—82.

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიული განყოფილება

აცხადებს, რომ 12 მომავალს აგვისტოს, დილით 12 საათზე, ხსენებულ განყოფილების შენობაში დანიშნულია პირადი და წერილობით განცხადებით საჯარო ვაჭრობა 20.000 ლეიბის პირის და 20.000 ბალიშის პირის შეკერვაზე საქართველოს რესპუბლიკის ჯარისათვის. ვაჭრობა შეუძლიათ მათ, ვისაც აქვთ საამისო კანონიერი უფლება. ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა პირად ვაჭრობაში უნდა წარმოადგინონ 12 აგვისტოს, 12 საათამდე, საწინდარი არა ნაკლებ 5.000 მანეთისა და აგრეთვე განცხადებანი, რომელშიც უნდა აღნიშნონ თავისი სურვილი პირად ვაჭრობაზე და ისიც, რომ კისრულობენ ზემო ხსენებულ ლეიბის და ბალიშის პირების შეკერვა-ჩაბარებას, თანახმად პირობებისა და დამტკიცებულ ნიმუშებისა. ყველა წარმოდგენილ განცხადებაზე დაკრული უნდა იყვეს ოთხი მანეთის ღირებული სალერბო მარკა.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება დაბეჭდილ პაკეტებით, თავიანთ განცხადებაში უნდა აღნიშნონ უკანასკნელი გადაჭრილი ფასები თითო ლეიბის და ბალიშის პირის შეკერვაზე. ეს ფასი უნდა იყვეს დაწერილი, ანუ დაბეჭდილი, სიტყვით და არა ციფრებით და აგრეთვე წარმოადგინონ იგივე საწინდარი 5.000 მანეთი, დანარჩენი პირობები იგივეა როგორც პირადი მოვაჭრეების პირობებისა.

ლეიბის და ბალიშის სანიმუშო პირების ნახვა შეიძლება ყოველ დღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა, ცხრა საათიდან პირველ საათამდე სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილებაში, ბარიათინის ქ., № 10.

1328 3—3

დაიკარგა 13 წლის ვაჟი

ქრისტეფორე არტემის ძე აბულოვი

თუ ვინმემ იცის რამე მის შესახებ, უმორჩილესად გთხოვთ შეატყობინოთ დამწუხრებულ დედას. სომხის ბაზარი, იქვე შესახვევი სახლი № 4.

ოფიციალური განყოფილება

დეკრეტი

საქართველოს ქალაქებისა და მაზრის ერობათა სასარგებლოდ ერთდროული სანიტარული გადასახადის შემოღებისა.

1. ქალაქებისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, აგრეთვე გადამდებ სნეულებასთან საბრძოლველად, შემოღებულ იქნეს საგანგებო ერთდროული სანიტარული გადასახადი ქალაქებში—ქალაქის თვითმართველობათა და სოფლებში—კი მაზრის ერობათა სასარგებლოდ.

2. ეს გადასახადი უნდა დაევალოს: ა) იმ პირთ, რომელთაც შემოსავალი ჯამაგირის სახით ჰქონდათ, თუ რაოდენობა მთელი ჯამაგირისა ამა წლის ივნისში აღემატებოდა ქ. ტფილისში 1000 მან., ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში 900 მან. საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში—კი 800 მან.

ბ) ყოველ თავისუფალ პროფესიის პირს, სახელდობრ ექიმებს, ვექილებს, ხუროთმოძღვრებს, ბეითლებს, ფერშლებს და სხ.

გ) უძრავი მამულების პატრონებს, სავაჭრო-სამრეწველო და ყოველგვარ სატრაქტირო დაწესებულებას და სოფლის მესაკუთრე მეურნეებს.

3. ამ გადასახადისაგან თავისუფალნი არიან: ა) მოსამსახურე პირნი, რომელთა ჯამაგირი არ აღემატება მეორე მუხლში აღნიშნულ რაოდენობას შემოსავლისას. ბ) სხვა სახელმწიფოთა ჯარსა და მისიებში მოსამსახურე უცხოელები.

4. სამსახურში მყოფნი პირნი ჯამაგირიდან გაიღებენ ამ გადასახადს ქვემოთ აღნიშნული ცხრილის მიხედვით.

I. ქალ. ტფილისში ვინც ღებულობს:

1.001	მან.	1.200 „	1%	10—	12 მ.
1.201	„	1.500 „	2%	24—	36 „
1.501	„	2.000 „	3%	45—	60 „
2.001	„	2.500 „	4%	80—	100 „
2.501	„	3.000 „	5%	125—	150 „
3.001	„	4.000 „	7%	210—	280 „
4.001	„	5.000 „	10%	400—	500 „
5.001	„	6.000 „	15%	750—	900 „
6.001	„	8.000 „	20%	1.200—	1.600 „
8.001	„	10.000 „	25%	2.000—	2.500 „
10.001	და მეტს		30%-თ.		

II ქ. ქ. ქუთაისსა, ფოთსა და სოხუმში ვინც ღებულობს:

901	მან.	1.000 „	1%	9—	10 მ.
1.001	„	1.200 „	2%	20—	24 „
1.201	„	1.500 „	3%	36—	45 „
1.501	„	2.000 „	4%	60—	80 „
2.001	„	2.500 „	5%	100—	125 „
2.501	„	3.000 „	7%	175—	210 „
3.001	„	4.000 „	10%	300—	400 „
4.001	„	6.000 „	15%	600—	900 „
6.001	„	8.000 „	20%	1.200—	1.600 „
8.001	„	10.000 „	25%	2.000—	2.500 „
10.001	და მეტს		30%-ი.		

III. საქართველოს დანარჩენ ქალაქებსა და სოფლებში, ვინც ღებულობს ჯამაგირს:

801	მან.	900 მ.	1%	8—	9 მ.
901	„	1.000 „	2%	18—	20 „
1.001	„	1.200 „	3%	30—	36 „
1.201	„	1.500 „	4%	48—	60 „
1.501	„	2.000 „	5%	75—	100 „
2.001	„	2.500 „	7%	140—	175 „
2.501	„	3.000 „	10%	250—	300 „
3.001	„	4.000 „	15%	450—	600 „
6.001	„	8.000 „	20%	1.200—	1.600 „
8.001	„	10.000 „	25%	2.000—	2.500 „
10.001	„ და მეტს		30%-ი.		

5. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საკრედიტო, სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებანი და აგრეთვე ფაბრიკა— ქარხნები და საერთოდ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან ამ კანონის გამოქვეყნების დღიდან თავიანთ მოსამსახურეებს ჯამაგირის პირველ დარიგებისთანავე აღნიშნული გადასახადი ერთბაშად დაუჭირონ ქალაქისა და ერობის თვითმართველობათა სასარგებლოდ. გადამხდელებს ეძლევათ დაწესებული ბარათი და შეკრებილი ფული დაუყოვნებლივ ეგზავნება კუთვნილებისამებრ ქალაქის ან ერობის გამგეობას გადამხდელთა ცალკე სიით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს მათი სახელი, მამის სახელი და გვარი, მისამართი და რაოდენობა გადასახადისა.

6. მეხუთე მუხლში აღნიშნული დაწესებულებანი და საზოგადოდ დამქირავებელნი ვალდებულნი არიან დახმარება აღმოუჩინონ ქალაქისა და ერობის თვითმართველობას სრულიად უსასყიდლოდ, ხსენებული თვითმართველობის უმაღლესი ორგანოს მიერ განსაზღვრულ ვადაზე.

7. უძრავ ქონებათა პატრონებსა, სავაჭრო-სამრეწველო, სარეწავი და სატრაქტირო დაწესებულებებსა, თავისუფალი პროფესიის პირებსა და სოფლის მესაკუთრე მეურნეებზე გასაწერ სასანიტარო გადასახადის რაოდენობას განსაზღვრავს ქალაქში—ქალაქის საბჭო, მაზრაში კი—მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა.

8. ქალაქის საბჭოს უფლება აქვს გადამხდელნი დაჰბეგროს ჯგუფობრივ ერთგვარობის მიხედვით.

9. მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა მთელს ჯამს მის მიერ განსაზღვრული გადასახადისას გაანაწილებს სოფლის საზოგადოებათა ან დაბათა შორის.

10. მე-8 და მე-9 მუხლში აღნიშნული დადგენილებანი ქალაქისა და ერობის თვითმართველობისა გადამხდელმა უდავოდ უნდა მიიღოს და ამ დადგენილებათა გასაჩივრება არ შეიძლება.

11. ქალაქის საბჭოს მიერ განსაზღვრული გადასახადი დაწესებულებათა ერთ ჯგუფზედ, განაწილებული უნდა იქნეს ამ ჯგუფის გადამხდელთა შორის თვითმართველობის გამგეობათა მიერ, ან გადამხდელთა საზოგადოების კრების ან მათ მიერ არჩეულ კომისიის საშუალებით ორი კვირის განმავლობაში გამგეობისაგან დანიშნულ რიცხვიდან, თუ გადამხდელთა საზოგადო კრება, ან მათ მიერ ამორჩეული კომისია უარს განაცხადებს გადასახადის განაწილებაზედ, ან მათ მიერ განაწილების ნორმებს ქ. გამგეობა არ დაეთანხმება, მაშინ თვით გამგეობა გაანაწილებს გადასახადს გადამხდელებზედ თავის მოსაზრებისამებრ.

12. სოფლის საზოგადოების გადამხდელ წევრებზე აწესებს გადასახადის რაოდენობას წვრილი საერობო ერთეულების აღმასრულებელი ორგანო, ან სადაც იგი ჯერ კიდევ არ არის, თვით საზოგადოების ყრილობის მიერ ამორჩეული კომისია. ვადას გაწერისა და აკრეფისას განსაზღვრავს სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობა.

13. ეს გადასახადი ყოველმა გადამხდელმა, როგორც ქალაქად, აგრეთვე სოფლად განსაზღვრულ ვადაზედ ერთდროულად და მთლად უნდა შეიტანოს.

14. ქალაქებში გადასახადის განაწილების შემდეგ ერთი კვირის ვადა ეძლევათ სავაჭრო-სამრეწველოს პატრონებს და თავისუფალი პროფესიის პირთ, რათა გაასაჩივრონ საბჭოში.

15. განაწილების ძალაში შესვლის შემდეგ ხარჯის გამღებთ ეგზავნებათ ქალაქებში გადასახადის ფურცლები და ვალდებულნი არიან შეწერილი ფული ფურცლის ჩაბარების დღიდან ორი კვირის განმავლობაში შეიტანონ, სოფლად კი, აკრეფის საერთო წესის გარდა, სოფლის საკრებულოებში უნდა იქნეს გამოკრული სია გადამხდელთა და თვითეულ გადამხდელზედ შეწერილ გადასახადის რაოდენობისა.

16. ვინც ვადაზე არ შეიტანს გადასახადს, ჯარიმად მთელი გადასახადის 50 პროც. შეეწერება.

17. ქალაქისა და ერობის თვითმართველობას უფლება აქვს ამ დეკრეტის განსამარტებლათ შესაფერი ინსტრუქციები გამოსცეს.

18. დეკრეტი ესე შედის ძალაში დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ივლისის 18-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი

ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

მიწათ-მოქმედების სამინისტროში.

ყარაიაზის მამულების რევიზია.

მიწათმოქმედების სამინისტროს საბჭოს წევრი ს. ტიმოფეევი ყარაიაზში გაემგზავრა ყარაიაზის რაიონში მიწათმოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა და მამულების რევიზიის მოსახდენათ.

წყალსადენი თეთრ გიორგის მონასტრისთვის.

რადგანაც თეთრ გიორგის მონასტერი (კახეთში) და ახლო-მახლო ადგილებში დიდ გასაჭირს განიცდიან უწყლობის გამო, მიწათმოქმედების სამინისტროს წყალთა სამართველომ განიზრახა წყალსადენის გაყვანა თეთრ გიორგის მონასტერთან. ივნისში წყალთა სამმართველომ წინასწარ გამოსამუშავებლათ თეთრ გიორგში გაგზავნა წყალთა სამმართველოს ინჟენერი შჩეგლოვი.

წყალთა სამართველო ამ ჟამად იმუშავებს ხსენებულ წყალსადენის პროექტს.

იუსტიციის სამინისტროში.

ციხეთა ინსპექციის რეორგანიზაცია.

იუსტიციის სამინისტროსთან შედგა განსაკუთრებული კომისია, რომელსაც ციხეთა ინსპექციის რეორგანიზაციის მოხდენა აქვს მინდობილი. კომისიის თავმჯდომარეთ დაინიშნა სამინისტროს იურისკონსულტი დ. კვირკველია, წევრებათ სამოსამართლო პალატის პროკურორის ამხანაგი გ. ლებედინსკი, საპატიმროთა ინსპექტორი ა. ყიფიანი, ტფ. საოლქო სასამართლოს პროკურორი მ. ტატიშვილი და ლ. შურღაია.

მუხლების შესწორება

პალატის პროკურორმა კანონ-პროექტი წარუდგინა იუსტიციის სამინისტროს და დამფუძნებელ კრების კომისიის დროებით სასამართლოს დებულების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ. იუსტიციის მინისტრი ამ შესწორებას არ ეთანხმება.

შინაგან საქმეთა სამინისტროში.

გარეშე და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენელთა შეთანხმება საზღვარ გარეთის პასპორტების შესახებ.

1. საზღვარ გარეთ გასვლის პასპორტების მიცემა საქართველოს მოქალაქეთადმი, თანახმად აქამდის მოქმედ საპასპორტო დებულებისა, ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს.

2. ამავე საპასპორტო დებულების ძალით გარეშე საქმეთა მინისტრი აძლევს საზღვარგარეთის პასპორტებს: ელჩებს, დიპლომატიურ აგენტებს, კურიერებს, კონსულებს და სხვას. და მისი საკუთარი ინიციატივა განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც იმას მოითხოვენ სახელმწიფო ინტერესები, შეუზღუდავია.

დამფუძნებელი კრება.

სამშაბათის ივლისის 29 სხდომა.

თავმჯდომარეობს დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალექსანდრე ლომთათიძე.**

მდივნობს **ქრისტინე შარაშიძის ასული.**

კრება იწყება $12^1/_2$ ს.

საბოლოო ტექსტი საქართველოს სენატის დებულების შემოღების კანონისა.

მომხსენებელი **ქრ. შარაშიძის ასული** მოახსენებს კრებას სენატის დებულების შემოღების კანონში შეტანილ ცვლილებებს. კრება უცვლელად იღებს სარედაქციო კომისიის მიერ კანონში შეტანილ შესწორებებს.

მომხსენებელი **სვ. მდივანი** დახურულ კარებში მოახსენებს კრებას საბოლოო ტექსტს რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალთა მოწყობის კანონისას. საბოლოო ტექსტი კრების მიერ უცვლელადაა მიღებული.

კრებას დახურულ კარებში მოხსენდა აგრეთვე საბოლოო ტექსტი რესპუბლიკის სამხედრო მართველობის მოწყობის კანონისა.

შემდეგ კრება გადადის სასტატო სემინარიის დამატებითი შტატის კანონ-პროექტის მეორე განხილვაზე. მომხსენებელი ქ. შარაშიძის ასული მუხლობრივ კითხულობს კანონ-პროექტს. კანონ-პროექტის მუხლობრივი განხილვა კამათს არ იწვევს, იგი მიღებულია და გადაეცა სარედაქციო კომისიას.

ივანე ჰავჰანიძე მუხლობრივ მოახსენებს კრებას

გზათა დეპარტამენტის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვისას.

არც შტატი და არც ხარჯთ-აღრიცხვა კამათს არ იწვევს. მიღებულია უცვლელად.

დეკრეტი 1919 წლის იანვრის 1-მდე სამხედრო სამინისტროს მიერ გაწეულ ხარჯის დასაფარავად ხუთი მილიონი მანეთის გადადებისა.

მომხსენებელი **ივ. ჰავჰანიძე** მოახსენებს კრებას, რომ სამხედრო სამინისტროს დღიდან საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა იანვრის პირველამდის დაუფარავი დარჩა 5 მილიონი მანეთი. ეხლა უწყება შემოდის თხოვნით, რომ მას გაეხსნას 5 მილ. კრედიტი.

დეკრეტი უკამათოთ იქნა მიღებული.

დეკრეტი 1916 წლის მაისის 13-ს დებულების განგრძობისა— ზედმეტ მოგებაზე გადასახადის გაწერის შესახებ.

მომხსენებელი **ნ. ელიავა** მოახსენებს კრებას დეკრეტის შინაარსს. თანახმად დეკრეტისა, ის გადასახადი, რომელსაც იხდიდნენ მრეწველ-მწარმოებელი მოგების კვალობაზე კვლავ ძალაში რჩება.

დეკრეტი უკამათოთ იქნა მიღებული.

დეკრეტი—წარსული საბიუჯეტო წლის ანგარიშების წარდგენის ვადის შეცვლისა.

მომხსენებელი სვ. **მდივანი** მოახსენებს კრებას დეკრეტის შინაარსს, რომელის თანახმად უკანასკნელი ვადა ანგარიშების წარდგენისა დანიშნულია მაისის 15-სათისთვის.

დეკრეტი— ჭიათურის ქალაქის თვითმართველობისათვის ერთი მილიონი მან. მიცემისა.

მომხსენებელი ნ. **ელიავა** მოახსენებას კრებას, რომ ჭიათურის ქალაქის თვითმმართველობა შუამდგომლობს 1 მილ. მანეთი სესხის მიცემის შესახებ. ეს შუამდგომლობა გამოწვეულია იმით, რომ მას შემდეგ რაც ჭიათურა ქალაქად გადაიქცა თვითმმრავლობის ხელში გადავიდა ჭიათურის მრეწველთა საბჭოდან მრავალი კულტურული დაწესებულება რის შესანახადაც თვითმართველობას სჭირდება ხსენებული კრედიტი. კრედიტი მიეცემა მას 5 წლის ვადით 5% სესხის სახით.

დეკრეტი მიღებულია.

5. დეკრეტი 1919 წლის ივნისის 13-ს დეკრეტის მოქმედების განგრძობისა სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ყოველთვიურად 65,827,720 მ. გადადებისა.

მომხსენებელი **ს. მდივანი** მოითხოვს დეკრეტის თანახმად სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად ყოველთვიურად 65.827 720 მ. გადების ივნისის 13-ს დეკრეტის განგრძობას, რადგან განზრახულია სესიის შეწყვეტა და მის განახლებამდის სახელმწიფო დაწესებულებანი უკრედიტოთ ვერ იარსებებენ.

დეკრეტის წინაამდეგია სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქცია.

რვ. გობეჩია აცხადებს, რომ ჩვენ არ შეგვიძლიან ასე ზეპირად კრედიტები დავადასტუროთ.

დეკრეტი სოც. რევ. ხმების წინაამდეგ, მიღებულია უცვლელად.

(დასასრული შემდეგ)

მუნიციპალური ცხოვრება

თვითმართველობა და მისი საქმიანობა.

(წერილი თელავიდან).

არც ერთ ქალაქის თვითმართველობაში საქმის გაკეთებაზე ისე ბევრს არსად არ ლაპარაკობენ, როგორც ქალ. თელავის თვითმართველობაში და საქმით ისე ცოტას არსად აკეთებენ, როგორათაც ხსენებულ თვითმართველობაში.

დღევანდელმა ჩვენმა ახალმა პირობებმა ბევრი საგულისხმიერო საკითხები წამოაყენა, რომლის გაკეთებაც ქალაქათ ეკისრებათ თვითმართველობებს, სოფლათ სამაზრო ერობებს.

ორივე შემთხვევაში ასეთს დემოკრატიულს დაწესებულებებს მოეთხოვებათ კულტურული მუშაობა და საქმე.

აქ ყველგან თვალში გეჩხირებათ მხოლოთ დაუდევრობა, მხოლოდ უპატრონობა.

ავიღოთ თუნდა მაგალითისათვის ქალაქის განათება: მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქის თვითმართველობამ ქალაქის უსაუკეთესოთ განათების მოსაწყობათ ელექტრონის სადგური ახალ მოიჯარადრეებს გადასცა და იმედსაც იძლეოდნენ ელექტრონით საუკეთესოდ გაანათებდნენ ქალაქის განაპირა უბნებსაც კი, დღევანდლამდი ქალაქის შუაგულიც კი არ არის უზრუნველყოფილი განათებით, არამც თუ ელექტრონის სინათლე მთელი მცხოვრებლებისათვის მიეცათ.

ეს არ კმარა, ქალაქის ყველა ქუჩები და უბნები დღევანდლამდის უაღრესათ ანტისანიტარულ პირობებშია. რომელ ქუჩაზე და უბანში გაივლი, რომ თქვენს თვალწინ უსუფთაობისა და სიბინძურის სურათი არ გადაიშალოს. მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქი ასეთს პირობებშია, მაინც ვინ ზრუნავს ქალაქის სისუფთავეზე? არავინ.

იმის მაგივრათ, რომ ქალაქის თვითმართველობა ცდილობდეს ჰიგიენურს და სანიტარულს პირობების მოწყობაზე ყოველ ჟამს ის მზათ იყოს გადამდებ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად, პირიქით თავისი ასეთი სულგრძელობით ხელს უწყობს ქალაქის ანტისანიტარულ მდგომარეობას და თუ ასე გაგრძელდა ასეთი პირობები, შორსაც არ იქნება ის დრო, რომ თელავში მოკლე ხანში იჩინოს თავი რომელიმე გადამდებმა სენმა.

მარტო ამაში არ გამოიხატება თვითმართველობის დაუდევრობა. ქალაქის ქუჩებზე ვერც ფეხით და ვერც ეტლით ისე ვერ გაივლი, რომ თავბედი არ იწყევლო ქვაღორღზე სიარულის დროს.

ქალაქის უმთავრესი ქუჩებიც კი: „ნოე ჟორდანიას“ ქუჩა და „26 მაისის“ ქუჩა ისეა მოფენილი ქვა-ღორღით, რომ გავლა შეუძლებელია.

ამ ორი უმთავრესი ქუჩების მოწყობა და გასუფთავებაც კი ვერ მოუხერხებია თვითმართველობის გამგეობას, მიუხედავათ იმისა, რომ ხსენებულ ქუჩებისთვის ასეთი საპატიო სახელები დაურქმევია. როდესაც ამისთანა მდგომარეობაში ჰხედავ უმთავრეს ქუჩებს, როგორღა შეიძლება ხმა ამოიღოს კაცმა განაპირა და სხვა ქუჩების შესახებ.

მარტო ქვა-ღორღზე არ გახლავთ საქმე, თუ ერთი ერთმანეთზე სამი დღე იავდრა, ქუჩებზე გავლა შეუძლებელია, მთლად ტალახის მორევები და გუბეები დადგება ყველგან. ქალაქის ყველა ქუჩები ამ დროს საძაგელს სურათს წარმოადგენს.

დაუდევრობა მარტო ამ ზემოხსენებულ საქმეებზე არ ემჩნევა თვითმართველობის გამგეობას. ქალაქს ამ ერთი წლის წინეთ თუ ღარიბათ მოწყობილი ბიბლიოთეკა-სამკითხველო მაინცა ჰქონდა, დღევანდლამდის ქალაქის გამგეობას ვერ უთავნია, რომ ხელმეორეთ მოაწყოს ასეთივე სამკითხველო და ბიბლიოთეკა და მით საშუალება მისცენ საზოგადოებას ისარგებლონ ამითი. ბევრს ახლათ მოსულ სტუმარს უხდება ქუჩა-ქუჩა ძებნა სამკითხველოსი, მაგრამ სად იპოვნის, როდეს ის იყო და აღარ არსებობს. სათქმელი ბევრი გვაქვს, მაგრამ ჯერ ამითი დავკმაყოფილდეთ.

ჩვენ მივუთითებთ ქალაქის გამგეობას სულ მცირეოდენ რამეზე, იქნება ბევრს მწარეთაც ეწყინოს ჩვენ მიერ ასეთ ნაკლზე მითითება, მაგრამ ჩვენთვის სულ ერთია, ყველამ თავისი მოვალეობა უნდა აასრულოს.

რომ გამგეობამ თავიდან აიცილოს ყოველგვარი საყვედური, ერთხელ და სამუდამოთ დღესვე უნდა გამოარკვიოს თავისი ფინანსიური ბიუჯეტი, უნდა იცოდეს ქალაქის გამგეობამ, რომ მას უმთავრესათ რა აქვს გასაკეთებელი და ამ გასაკეთებელი საქმის დაგვარათ ისე გამოსძებნოს სახსარი.

თუ ქალაქს შემოსავლის სახსარი არ მოეპოვება და აუცილებლივ გასაკეთებელი საქმეებით კი დატვირთულია, მაშინ ის იღებს სესხს და საქმეს ისე უძლვება.

გამოსავალი გზა ერთია: დასახულ მიზნის განსახორციელებლათ საშუალება არ უნდა დაიზოგოს. მეტი მუყაითობა და ენერგია საქმეს აადვილებს.

სოფლელი ამხანაგი.

მოხსენება სახალხო მასწავლებელთათვის

სამხედრო შეღავათის აღდგენის შესახებ, სახალხო განათლების მინისტრის მიერ წარდგენილი ამა წლის 16 ივლისს მინისტრთა საბჭოში.

განათლების სამინისტროს სამოქმედო პროგრამაში თვალსაჩინო ადგილი და სერიოზული ყურადღება დათმობილი აქვს მომავალ 1919—1920 სასწავლო წლიდან მთელს რესპუბლიკაში საყოველთაო სწავლის შემოღებას სასკოლო ჰასაკის (7—11) ყველა ბავშებისათვის, ე. ი. ისეთი პირობების შექმნას, როდესაც არც ერთი წრის, არც ერთი კლასის სასკოლო ჰასაკის ბავშვი არ რჩება წერა-კითხვის უცოდინარი, არ რჩება სკოლის გარეშე.

შესაძლებელია ერს ბევრი ჰყავდეს უმაღლესი ცოდნით აღჭურვილი პირი, ბლომად მოეპოვებოდეს სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები, მაგრამ მხოლოდ ის ერია მტკიცე და შეურყეველი დამცველი თავის უფლებათა და ის ხალხი შესძლებს საუკეთესო მერმისის შექმნას, რომელსაც განუხორციელებია საყოველთაო სწავლა, ვინაიდან იგი ამაღლებს ხალხის კულტურულ გონებრივ დონეს და ჰქმნის ისეთ ფაქტორს, რომელიც საუკეთესო საწინდარია ერის ყოველმხრივად წარმატებისა და აყვავებისათვის.

თავის თავად ცხადია, რომ ამ დიადი რეფორმის ერთბაშათ განხორციელება შეუძლებელი იქნება, მას მრავალი დაბრკოლება გადაეღობება წინ და უწინარეს ყოვლისა სიმცირე მომზადებულ და ღირსეულ სახალხო მასწავლებლებისა.

რეფორმის პირველსავე წელიწადს (1919—20) უნდა გაიხსნას ასი ახალი სკოლა, ხოლო უკვე არსებულ სკოლებს განზრახულია მიემატოს ახალი კომპლექტები. ამგვარად ამ შემოდგომითვე საჭირო იქნება სამასი ახალი მასწავლებელი. ცხადია, ეს საჭიროება წლითი—წლობით, თანდათან, ვიდრე საყოველთაო სავალდებულო სწავლის შემოღების საქმე დასრულდება, რაც სამინისტროს ვარაუდით 1924 წელს მოხდება, უმეტესად გაიზრდება: მეორე სასწავლო წელსაც (1920—21) და შემდეგ წლებშიაც სამინისტრო თანდათანობით გახსნის კიდევ ახალ სკოლებს, ხოლო არსებულ სასწავლებლებში კომპლექტებს გაამრავლებს დი ამრიგად საჭიროება ახალ მასწავლებელთა ყოველ წლიურად? იქნება, ვიდრე, როგორც აღვნიშნეთ, რეფორმა არ დასრულდება.

ამავე დროს განათლების სამინისტროს არ შეუძლიან სრულიად დაიმედებული იყოს, რომ დღევანდელი სახალხო მასწავლებლები კვალადაც დარჩებიან თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზე. არა აქვს სამინისტროს ამის იმედი იმიტომ, რომ მასწავლებლები, თუმცა ჩვენ მხრივ ყოველი ზომა იყო და არის, ეხლაც მიღებული მათი ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობებისათვის, მაინც სხვა მოსამსახურეებთან შედარებით ქონებრივად აუწერელ მდგომარეობაში იმყოფებიან და ძალიან ხშირად იძულებულნი არიან ისეთ სამსახურში გადავიდნენ, სადაც დიდი ჯამაგირია და მათი ენერგია და ცოდნა უფრო მეტად ფასდება.

ამ არა სასურველ მოვლენას განათლების სამინისტრო სავსებით [illegible] და ამიტომაც იგი [illegible] საჭიროდ რაცხს დაუყონებლივ მიღებულ იქმნას ისეთი ღონისძიებანი, რომელთა საშულებითაც შესაძლებელი შეიქნება მასწავლებლების სახალხო სკოლოსთან შედარებით მჭიდრო დაკავშირება, სასწავლებელთან ერთგვარი მიჯაჭვა და მათი არა თუ სკოლებიდან მასსიურ ლტოლვის შემცირება, პირიქით, მათი სკოლისაკენ მოზიდვა, დახარბება.

ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებათ განათლების სამინისტროს მიაჩნია განსაზღვრული ვადით აღდგენა იმ უპირატესობისა, რომელიც ძველად სახალხო სკოლათა მასწავლებლებს სამხედრო ბეგრის მოხდის დროს ჰქონდათ: მათ ათავისუფლებდენ სამხედრო სამსახურისაგან, თუ ისინი განსაზღვრულ დროს განმავლობაში მასწავლებლობას გასწევდენ.

რა კი მასწავლებელთა სიმცირე განსაკუთრებით მწვავე და საგრძნობი იქნება საყოველთაო სავალდებულო სწავლის რეფორმის დასრულებამდე, ამიტომ, განათლების სამინისტროს აზრით, ეს ძველი შეღავათი სახალხო მასწავლებელთათვის უნდა დაკანონდეს დროებით, დაახლოებით 1924—1925 სასწავლო წლის დასრულებამდე.

მოვახსენებ რა ზემო აღნიშნულს, ვშუამდგომლობ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა საქართველოს რესპუბლიკის პირველ დაწყებით სასწავლებლის ყველა მასწავლებელი, რომელიც კი ხუთი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იმსახურებს ამ ტიპის სკოლებში განთავისუფლებული იქნას სამხედრო სამხურისაგან.

განათლების მინისტრის ამხანაგი

ნ. ციცაძე.

კანცელარიის დირექტორი **გუკ. ხერხიძე.**

ადერბეიჯანში

ხელშეკრულების დამტკიცება.

ადერბეიჯანის ვაჭრობის სამინისტრომ გაგზავნა მთავრობის საქმეთა სამმართველოში, სომხეთის რესპუბლიკასთან დადებული ხელშეკრულების ასლი, რომ ის შეტანილ იქნეს პარლამენტში სარატიფაკაციოთ. სამინისტრო აცხადებს, რომ სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელის ცნობით სომხეთის პარლამენტის მიერ ეს ხელშეკრულება დამტკიცებულია.

ნავთის საკითხი.

სტავროპოლის გუბერნიის წვრილი კრედიტის საერობო კასის წარმომადგენელ როზენბერგმა მიმართა ადერბეიჯანის ვაჭრობის სამინისტროს თხოვნით დაუბრუნოს ნავთი, რომელიც ინახება ორდერებით საერთო სარგებლობის ნავთსადენში, ამის საპასუხოდ სამინისტრომ აცნობა, რომ ნავთი დაჭერილი საერთო სარგებლობის ნავთსადენებში იქნება დაბრუნებული მაშინ, როდესაც ნავთის წარმოება გაეროვნებულათ იქნება გამოცხადებული და როდესაც გამოირკვევა ის ზარალი, რომელიც უნდა დააწვეს თავს ორდერების პატრონებს, იმ ორდერების საკითხის გამორკვევა კი, რომელიც საერობო კასას ეკუთვნის, სამინისტროს არ შეუძლია, სანამ მთავრობა არ გადასწყვეტს საკითხს.

საქონლის გაცვლა-გამოცვლისათვის.

ვაჭრობის სამინისტრო აცნობებს სტავროპოლის გუბერნიის რწმუნებულს, რომ მას არა აქვს არაფერი საწინაამდეგო სტავროპოლის სასურსათო ორგანიზაცის და სამინისტროს შორის საქონლის გაცვლა-გამოცვლისა, რასაკვირველია იმ საფუძვლებზე, რომელსაც მინისტრთა საბჭო შეიმუშავებს, რომელიც გამოქვეყნდება ახლო მომავალში.

საადგილ-მამულო რეფორმა

მიწათ-მოქმედების სამინისტროს აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში მიღებული ცნობებით მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე ახალციხის მაზრაში საადგილ-მამულო კომისიებს სახელმწიფო ფონდში მიუღიათ:

ქობლიანის რაიონში	33255	დეს.	175	კ. ს.
ურაველის „	. 13905	„	358	„ „
აწყურის „	. 11571	„	1370	„ „
სულ მაზრაში .	. 58731	დეს.	1903	კ. ს.
ახალ-ქალაქის მაზრაში .	5321	დეს.	150	კ. ს.

ჩამორთმეული მიწების ფასები.

28 იანვრის კანონის თანახმათ, აგრარულ რეფორმით ჩამორთმეული მიწები უნდა განაწილდეს უმამულო და მცირე მამულების მქონე გლეხთა შორის. ამის გამო თანახმად ხსენებულ კანონის მე-17 მუხლისა მიწად-მოქმედების მინისტრის აგრარულ რეფორმათა განყოფილებამ ერობებთან შეთანხმებით შეიმუშავა ფასები, რომელშიაც უნდა გადაეცეს ჩამორთმეული მიწები გლეხებს საკუთრებათ. ამისათვის შემუშავებულ ცხრილის მიხედვით რომელიც 24 ივლისს მთავრობამ უკვე დაამტკიცა, ყველა მიწები დაყოფილია სამ კატეგორიათ.

პირველ კატეგორიაში შედის ბაღები, ბოსტნები და სხვა შედარებით მდიდარი ადგილები.

მეორე კატეგორიაში—დანარჩენი ნაყოფიერი სათესი მიწები.

მესამეში—ეწერი მიწები, საძოვარები და სხვა. ფასები შემდეგ ნაირადაა დაწესებული: გამოანგარიშებულია წლიური შემოსავალი თითო დესეტინაზე და შემოსავლის მეათედი უნდა გადახდეს თითო დესეტინაზე. ცხრილი ცალკეა შედგენილი დასავლეთ საქართველოსთვის, სადაც უმთავრესად სიმინდი მოყავთ, და ცალკე აღმოსავლეთ საქართველოსთვის სადაც უმთავრესად პური მოყავთ.

საშუალო შეღავათიანი ფასები საფონდო მიწებზე:

თანახმად მიმდინარე წლის 28 იანვრის კანონის მე-17 მუხლისა და მიწათ-მოქმედების სამინისტროს მოხსენებისა, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ 24 ივლისის სხდომაზე დაამტკიცა შემდეგი შეღავათიანი ფასები საფონდო მიწებზე:

დასავლეთ საქართველოში (სიმინდი):

მიწების კათეგორიები	მოსავალი სიმინდისა ერთი დესეტინიდან	ფასი ერთი ფუთი სიმინდისა	საერთო შემოსავალი 1 დესეტინა მიწისა	შეღავათიანი ფასი 1 დესეტინისა	ფასების ცვალებადობა
1-ლი კათეგორია	150 ფუთი	× 100 მანეთი	= 15000 მანეთი	1500 მანეთი	არა ნაკლები 1500 მ.
2-რე "	100 "	× 100 "	= 10000 "	1000 "	1000 მ-დან 1500-მდე
3-მე "	60 "	× 100 "	= 6000 "	600 "	600 მ-დან 1000 მდე
საბალახო (выгоны)	—	—	—	300 "	300 მ-დან 400-მდე
აღმოსავლეთ საქართველოში (ხორბალი)					
1-ლი კათეგორია	60 ფუთი	× 200 მანეთი	= 12000 მანეთი	1200 მანეთი	არა ნაკლებ 1200 მან.
2 რე "	50 "	× 200 "	= 10000 "	1000 "	1000 მ-დან 1200 მ-დე
3-მე "	30 "	× 200 "	= 6000 "	600 "	600 მ-დან 1000 მ-დე
საბალახო (выгоны)	—	—	—	200 "	200 მ-დან 300 მ-დე

სვანეთის მდგომარეობა

საქართველოს რესპუბლიკის მიწათ-მოქმედების მინისტრს მოხსენება მიწებისა და ტყეების მდგომარეობის შესახებ.

ზემო სვანეთი მუდამ განსაკუთრებულ მდგომარეობაში ყოფილა, როგორც გადასახადით, ისე მიწით და ტყით სარგებლობის მხრითაც. მოგეხსენებათ, ზემო სვანეთი ორად არის გაყოფილი-თავისუფალი და სადადეშქელიანო. თავისუფალი სვანებისათვის გადასახადი კომლზე ყოფილა წლიურად ექვსი აბაზი (კომლი იქ დიდია), სადადეშქელიანოსთვის კი ცოტა მეტი და თან ამათ მებატონეებიც აწვენ უღლათ კისერზე. რევოლიუციის შემდეგ თავისუფალი სვანები დაეპატრონენ ყველაფერს: ტყეს და მთა-ბარს, სახნავ-სათესს და საბალახოს. ჩვენი ახსნა-განმარტების შემდეგ დასთანხმდნენ იმას, რომ ტყეები სახელმწიფოს ეკუთვნის, მხოლოდ თხოულობენ ზოგიერთ საბალახოებს იჯარით. რაც შეეხება სადადეშქელიანო სვანეთს, იქ ზოგ ადგილას გვეუბნებოდენ-დღეიდან გვინდა თავისუფალ სვანებს გაუთანასწორდეთო. აქ უფრო ადვილია ყველა საკითხების მოგვარება, სხვათა შორის გადასახადისაც, რადგან ისინი ამას დაჩვეულები არიან. თავისუფალ სვანეთშიაც განსაკუთრებით სოფელი ლაკალი ჯიუტობს. ამ სოფლის ტყეში მრავალი ხე დამუშავებული და გაცემული ყოფილა სოფლის მიერ. ახლა მას ხაზინა ეპატრონება, მოიჯარე უხერხულ მდგომარეობაშია და დამუშავებული ხეები ფუჭდება. სოფ. ჭუბერი (სადადეშქელიანოში) გასულ წელს დაპატრონებია სახელმწიფო საბალახოს და მეჯოგეებისთვის გადასახადი გადაუხდევინებია. დღეს მიხვდენ, რომ მათ ამის ნება არა ჰქონდათ და თხოულობენ პატიებას.

საჭიროა დაჩქარებით გაიგზავნოს საგანგებო კომისია ტყეების მიმღებიც და მიწის საკითხების ადგილობლივათ მომწესრიგებელი. კომისიის მისვლას სვანები მოუთმენლად ელოდებიან. ბევრი საჩივრები მოვისმინეთ სადადეშქელიანო სვანეთში მიწების შესახებ და შევპირდით, რომ მთავრობა კომისიას გამოგზავნისთქო.

სვანეთში მიწა ცოტაა, თხოულობენ მსურველები გადაასახლონ რესპუბლიკის ისეთ კუთხეებში, სადაც მიწები მეტია და დასახლება შეიძლება. ჩვენ ამის შესახებ შუამდგომლობაც აღვუთქვით.

ჩვენ ვფიქრობთ, ზემო სვანებმა ჯერ-ჯერობით მაინც უფასოდ უნდა ისარგებლონ საწვავ-შეშით და ოჯახისთვის საჭირო ხე-ტყით, აგრეთვე სოფლისოვის აუცილებელ საბალახოთი, დანარჩენი საბალახო კი მიეცეთ მათ იჯარით.

თუ დაჩქარებით არ იქნა მიწის მომწესრიგებელი კომისია გაგზავნილი, და ხალხს არ გააცნო დეკრეტი იმ ცვლილებებით, რაც ზემო სვანეთისთვის არის საჭირო, სისხლის ღვრაც კი შეიძლება მოხდეს ერთმანეთს შორის, მაგალითად სოფ. ეცერში.

გარეშე საქმეთა და სამხედრო მინისტრს მოხსენება ზემო სვანეთში გვარდიელების გაგზავნის შესახებ.

მიუხედავად მთა-გორიან და მიუვალ ადგილებისა, რომელიც აკრავს ჩრდილოეთით ზემო სვანეთს, მაინც მრავალად გადმოდიან იქიდან ძველი მთავრობის მიმდევარნი და ეწევიან ათასნაირ პროვოკაციას. ის არ კმარა, რომ ჩვენ სვანები კარგი თვალით გვიყურებენ—პროვოკაციას ყველგან დიდი გასავალი აქვს და შეიძლება ზემო სვანეთშიაც დაურჩეს. ჩვენ იქ ყოფნის დროსაც გადმოგვცეს, რომ სვანებს ეპატიჟებოდენ ვილაცეები ვითომ დენიკინის წინააღმდეგ საბრძოლველათ, და ნადავლსაც ჰპირდებოდენ. ადვილი შესაძლებელია, რომ ბახსანიდან გადმოვიდეს ჩერქეზების ჯგუფი და სვანებს თავს დაესხან. ასეთი თავდასხმა დიდ არევ-დარევას გამოიწვევდა ხალხში და ბევრი რამ ცუდი მოხდებოდა. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოეწყოს აგენტურა ბახსანასა და ბეჩოს შორის (ამის შესახებ ლაპარაკი უკვე გვქონდა მეტად საიმედო პირებთან). ამასთან საჭიროა შევიდეს ერთი ასეული ან ნაკლები გვარდიელებისა ბეჩოში და როცა ადგილობრივ შესდგება გვარდია და დაარსდება გვარდიის შტაბი და ჩამოერთმევა ხალხს იარაღი, უკან გამობრუნდება. ამას თხოულობს ხალხი და ამავე აზრისანი არიან იქ მომუშავენიც. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს და აუცილებელიც არის. ეს უნდა დაჩქარდეს, თორემ შემდეგ დაზამთრდება და მიმოსვლაც შეწყდება.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრს მოხსენება ზემო-სვანეთში სასამართლოს შემოღების შესახებ.

ზემო-სვანეთი სამართლის მხრითაც ღვთის ანაბარათ არის მიგდებული, ეგერ რამდენიმე წელიწადია იქ მოსამართლეს და გამომძიებელს გზათ არ გაუვლია. აუარებელი საქმეებია დაგროვებული. ხალხი საქმეებს არჩევს მედიატორული წესით, ვახტანგ მეფის კანონის მიხედვით. უნდა ითქვას, რომ მედიატორობა სპეციალობათ გაუხდიათ ზოგიერთებს და ტყავს აძრობენ ხალხს, სულ ერთია მართალი მხარეა თუ მტყუანი. სუსტი აქაც საშინლათ იჩაგრება, და თუ ამას დავუმატებთ, რომ მედიატორენი საკმაოდ მოზრდილ ჯილდოს იღებენ მომჩივან-მოპასუხეთაგან, მედიატორული სამართალი გაცილებით ძვირი ჯდება, ვიდრე კანონიერი სასამართლო. ამიტომაც არის, რომ მედიატორენი წინააღმდეგი არიან კანონიერი სასამართლოსი, რადგან იციან, რომ ხაჭაპურები და ჯილდოები მოაკლდებათ. ხალხისაგან ჩვენ მრავალი თხოვნები მივიღეთ სასამართლოსი და ადმინისტრატიული ხასიათისა.

ხალხი მოუთმენლათ ელის მოსამართლეს. მხოლოდ საჭიროა მოსამართლე ბეჩოში იყოს და არა ჩოლურში (გადმოღმა სვანეთია), როგორც ეს ლეჩხუმის ერობას გადაუწყვეტია. მოსამართლე-გამომძიებელი უნდა იყოს რაც შეიძლება გამოცდილი და საიმედო პირი, რომელმაც უნდა შეისწავლოს იქაური ხალხის ჩვეულებანი და ადათები და ისე შეუდგეს საქმეების გარჩევას თუ გადაწყვეტას.

შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიწათ-მოქმედების სამინისტროს, ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს, სასურსათო საბჭოს და მომარაგების კომიტეტს.

ზემო-სვანეთში არ არის არც ერთი სავაჭრო დუქანი. ბევრ სოფელში მარილი და ნავთი დიდი ხანია თვალით არ უნახავთ. ასევეა ბევრი რამ აუცილებელი საგნებიც. საჭიროა ზემო სვანეთს ამ მხრით მიექცეს სათანადო ყურადღება და გაიგზავნოს სურსათ-სანოვაგე. ამისთვის საჭირო იქნება მოეწყოს ერობის ხელმძღვანელობით ერთი მთავარი საწყობი განყოფილებით, სადაც უნდა მიტანილ იქნას პირველ საჭიროების საგნები—მარილი, ნავთი, წუმწუმა, საპონი, მატყლი, ფართლეულობა და სხვა. უნდა მოეწყოს საქონლის გაცვლაც, რაც ხელს შეუწყობს ყველაფერი იმის აქვე ჩვენში დატრიალებას, რაც ახლა გადადის ჩერქეზეთ-ოსეთში. ზემო-სვანეთიდან შეიძლება გამოტანილ იქნას—თაფლი, ყველი, ერბო-კარაქი, ნადირის ტყავები და აგრეთვე საკლავი საქონელიც იშოვება იქ.

საქართველოს რესპუბლიკის გვარდიის მთავარ შტაბს მოხსენება ზემო-სვანეთში გვარდიის გაგზავნისა და ადგილობრივი გვარდიის მოწყობის შესახებ.

ზემო სვანეთში ხალხს ყრილობებზე ვაცნობდით სახალხო გვარდიის ორგანიზაციის მოწყობის საქმეს, რასაც საკმაო ინტერესით ისმენდენ. გვარდიის მოწყობა და ადგილობრივ შტაბის დაარსება უნდა მოხდეს დაჩქარებით და დაუკავშირდეს იქ იარაღის ჩამორთმევას და იქვე საწყობების დაარსებას. ასეთი სურვილი გამოითქვა ყველა ყრილობებზე და აგრეთვე ზემო-სვანეთის წარმომადგენელთა ყრილობაზედაც. გამოითქვა სურვილი, რომ შეიარაღებული ძალა გაიგზავნოს ზემო-სვანეთში, ეს უნდა იყოს გვარდია ან ტფილისიდან ან ლაზხეთიდან.

გასულ წელს ზემო-სვანეთში გატაცებულ იქნა გვარდიის ცხენები. ჩვენ ეს სვანებს დიდ ღალატათ ჩავუთვალეთ. ამ საქმეში სულ პატარა ჯგუფს მიუღია მონაწილეობა და სიმართლე უნდა ითქვას, რომ თითქმის ულაპარაკოდ მიიღეს ჩვენი წინადადება ცხენების უკან დაბრუნების შესახებ. ცოცხლად ადგილობრივ აღმოჩნდა მხოლოდ 17, ამათში 4 ჩვენ ჩამოვიყვანეთ ზუგდიდში და ჩავაბარეთ საიმედო პირს ზუგდიდის ერობის წარმომადგენელის თანადასწრებით, ხოლო 13 ცაგერში ჩამოიყვანეს. ხსენებული 4 ცხენი გაიგზავნა მთაზე საბალახოთ [illegible] გასულს დააბრუნებენ.

გვარდიის ცხენების გატაცებაში, როგორც ირკვევოდა, წილი უნდა ედოთ თვით მყიდველებს. საჭირო იქნება გამოძიების დანიშვნა და დამნაშავეთა პასუხისგებაში მიცემა.

დამფუძნებელი კრების წევრები: **გრ. ცინცაძე** და **სილ. ვადაჭკორია.**

მასწავლებელი: **რაფ. ნიჟარაძე.**

მილიციაში

მილიონის მოპარვა

23 ივლისს მილიონერმა ვორონინმა, ვოზნესენსკის ქ., № 9, მცხოვრებმა, განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მის ოთახიდან გაიტაცეს რკინის ყუთი ოქროულობით და ფულით სულ 1.300.000 მან. ღირებული. ვორონინმა ეჭვი ვერავიზე ვერ აიღო. ამ საქმის გამოსაკვლევათ წავიდენ ვორონინის ბინაზე სისხლის სამართლის მილიციის უფროსი პ. ზ. ფაჩულია, მისი თანაშემწე ჩიხლაძე და მე-3 რაიონის კომისარი,—მათ ეჭვი აიღეს ვორონინის სახლის პატრონ ნ. ე. ქობულოვზე; დაბოლოს ფაჩულიამ კატეგორიული წინადადება მისცა ქობულოვს გამოეჩინა მოპარული ნივთები. მეორე დღეს ქობულოვმა დაუბრუნა ვორონინს ფული და ნივთები და განაცხადა, რომ ეს ნივთები მოიპარა მისმა მზარეულმა ალექსი დემურიშვილმა, რომელიც მიიმალა.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსის თანაშემწე ჩიხლაძემ დაუწყო ძებნა გაპარულ დემურიშვილს და დაიჭირა კირკის ქუჩაზე. მზარეულმა განაცხადა, რომ ნივთები და ფული მოიპარა ქობულოვმა და სთხოვა მას მიეღო თავის თავზე ეს ქურდობა და გაპარულიყო. ამისთვის მან გაისტუმრა ის ბაქოში, მაგრამ მზარეული ამაზე არ დასთანხმდა.

ამ განცხადების შემდეგ ქობულოვი გამოტყდა, რომ ქურდობა მან ჩაიდინა. საქმე გადაეცა გამომძიებელს.

26 ივლისს, საპიორის ქუჩაზე № 26, ორმა ბოროტ-გამზრახველებმა გაძარცვეს ტრეტნოვის ქალი. მძარცველები გაიქცნენ, მაგრამ მათ დაედევნენ მეორე კომისარიატის მილიციელები და დაიჭირეს. კადეტის შესახვევში აქ ერთი გადახტა მტკვარში და მიიმალა, მეორემ კი იქვე თავი მოიკლა. მილიციის მსახურებმა გამოარკვიეს, რომ თავის მომკვლელი აღმოჩნდა პავლე ერმალოს ძე სკოლპებკინი, 30 წლის, პრაპორჩიკი.

ამა წლის ივლისის 21, სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა აღმოაჩინეს დავით წერეთლის სარდაფში, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე, № 27, 105 ბრეზენტის ტომრები, რომელიც ეკუთვნოდა ინგლისელ ჯარის კაცებს. ტომრები წარუდგინეს ინგლისის სამხედრო პოლიციის უფროს. დამნაშავე კი პასუხისგებაშია მიცემული.

ამას წინად გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა 24 ივლისს, ვორონოვის ბინაზე, ვოზნესენსკის ქ., № 9, მომხდარ ქურდობის შესახებ. ეს ქურდობა აღმოჩენილი არის სისხლის სამართლის მილიციის უფროსის ფაჩულიას მიერ, დამნაშავე დაჭერილია, ყველაფერი დაკარგული დაუბრუნდა პატრონს, საქმე და დამნაშავე გადაეცა გამომძიებელს.

ამა წლის, 22 ივლისს, სისხლის სამართლის მილიციის მოსამსახურეებმა დაიჭირეს ჯიბგირები, რომელთა შორის აღმოჩნდენ პროფესიონალური ჯიბგირები ალექსანდრე ნიკოლოზის ძე გოგიევი, ალექსანდრე გიორგის ძე ჯაფარიძე, გრიგოლ ლუკას ძე მიველიძე და ნიკოლოზ ივანეს ძე რომანოვიჩი. ამათ გარდა კიდევ 12 პირი დაჭერილია, როგორც ამათი ამხანაგები.

ბ-ნი სულაქველიძე თავის ბრძანებაში აცხადებს: მილიციის ზოგიერთ მოსამსახურეთა თავახსნილობა საზღვარს სცილდება. გაზეთ „ერთობა“-ში მოთავსებული იყო შემდეგი ცნობა: მიხეილის ქუჩაზე, თავი მოეყარათ რამოდენიმე მილიციონერს, მათ გვერდით ჩაიარა ერთმა ქალმა და ფეხი გააჩქარა, რადგან ეშინოდა მათ ახლოს გავლა, როდესაც ცოტა გასცილდა მილიციონერთა ჯგუფს, ერთი მათგანი დაეწია მას და ხელი მოხვია, ქალმა დაიყვირა, დაუძახა მილიციონერებს. ხულიგანი არ შეუშინდა ქალის ყვირილს და უთხრა მას, რომ ის თითონ მილიციონერია,

რის დასამტკიცებლად აჩვენა მოწმობა და სხვა საბუთები. სამწუხაროდ, ქალს დაავიწყდა მილიციონერის გვარი, რომელიც ღირსია სასტიკი სასჯელისა თავის უმსგავსო საქციელისთვის.

ასეთივე საქციელი ჩაიდინა მეექვსე უბნის უფროსმა მილიციონერმა გამრეკელმა, რომელსაც ვსცნობ რა თავის თანამდებობის შეუფერებლად, ვითხოვ სამსახურიდან.

უნდა აღვნიშნო, რომ თუ ასეთ საქციელისთვის უბრალო ხულიგანი სასტიკად ისჯება, უფრო მეტის ღირსი არის წესრიგის დასაცავად და ასეთი სისაძაგლის მოსასპობად დაყენებული პირი.

ზემო აღნიშნულზე ვაქცევ კომისრების ყურადღებას და წინადადებას ვაძლევ მათ, აუხსნან მილიც. უწყებაში მყოფ მოსამსახურეებს ასეთი საქციელის სისაძაგლე და გააფრთხილონ ისინი, რომ ამგვარის საქციელისთვის მათ მოელით სამსახურიდან დათხოვნა და 3 თვის ციხე.

26 ივლისს, ღამით მილიციელებმა დააპატიმრეს ბოროტ-გამზრახველები, რომელნიც ოლღას ქუჩაზე კოოპერატივ „დახმარებას" გაქურდვას აპირებდენ. დაიჭირეს აგრეთვე იქ მდგომი მილიციელი.

სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ზ. ფაჩულიამ დაიჭირა ყაჩაღთა ბრბო, რომელმაც ამაღლების ქ. № 9, ვორონინს 1 მილ. მანეთზე მეტის სხვა და სხვა საგნები და ფული მოჰპარეს. მონაპარი სულ აღმოაჩინეს.

მუსიკა

კაპელა.

რა არის კაპელა? მუსიკაში ეს სახელი ეკუთვნის მგალობელთა გუნდს, რომელიც ასრულებდა საეკლესიო გალობას. გარდა იტალიისა და ფრანგებისა ამისთანა კაპელა განვითარებული ჰქონდა რუსეთსაც, რომელიც ემსახურებოდა მხოლოდ სასახლეს. დროს მსვლელობით, ამ კაპელამ მიიქცია განსაკუთრებითი ყურადღება როგორც მუსიკოსებისა, აგრეთვე ხალხისაც. კაპელას წყალობით დამუშავდა საუკეთესო გალობა, აღიზარდა როგორც ბევრი კარგი ლოტბარი, აგრეთვე კომპოზიტორებიც.

თავის დანიშნულებით კაპელა წარმოადგენს სერიოზულათ შეკავშირებულ მომღერალთა გუნდს და თუ წინათ მხოლოდ სასულიეროთ ჩაითვლებოდა, ჩვენ დროში კაპელამ მიიღო ფართე საერო ხასიათი: სერიოზული და კარგათ დაყენებულ. მომღერალთა გუნდს ეძახიან კაპელას, აგრეთვე—ორკესტრსაც.

ეხლა გადავიდეთ ახლად დაარსებულ ქართულ კაპელაზე. როგორც ჩვენ გაზეთის განცხადებიდან სჩანს ქართ. სამუსიკო საზოგადოებამ და ამიერ კავკ. კოოპერატივთა კავშირმა დაარსეს კაპელა-(ქალ-ვაჟთა მომღერალთა გუნდი), რომელიც შესდგება საუკეთესო ახალგაზრდა მოსწავლე-მომღერლებისაგან.

ერთის მხრივ სათავეში უდგა ქართ. სამუსიკო საზოგადოება, რომელიც ღირსეულათ შეასრულებს თავის მოვალეობას მუსიკალურის და მორალურის მხრივ. მეორეს მხრივ ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირი, რომელიც საქმეს მტკიცე ნიადაგზე აყენებს მატერიალურის მდგომარეობით. აქ იბადება რაღაც გაუგებრობა: რომ ქართ. სამუსიკო საზოგ. სათავეში უდგა მუსიკალურ საქმეს ეს ნორმალური მდგომარეობაა, მაგრამ რა აქვს საერთო მუსიკასთან კოოპერატივთა კავშირს?

ეს კითხვა იბადება ძალაუნებურათ და თქმა არ უნდა ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირს მოეპოვება წევრი, რომელიც იფიქრებს: რათ გვინდა მომღერალთა გუნდი, რომელიც ზარალის მეტს არას მოგვიტანსო და სხ.

როგორც სჩანს ასე არ არის საქმე. გარდა სპიჩკების ყიდვისა ადამიანს სჭირდება სულიერი საზრდოც და ასეთი კულტურული მისწრაფება კოოპერატივისა ამაღლებს მას და გაანსხვავებს უბრალო ვაჭრებისაგან.

გაზეთებიდან ვიცით, თუ რა განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია კულტურულ მხარეს ამიერ-კავკ. კოოპერატივთა კავშირმა და რა ენერგიულათ შეუდგა ამ მიზნის განხორციელებას—ყველას ეს მისწრაფება დიდ იმედის სხივებს მოჰფენს ჩვენ მხარეს და გვწამს, რომ კარგი თესლი კარგ ნაყოფსაც მოიტანს.

სხვა და სხვა.

◆ პარასკევს, 1 აგვისტოს, სახელოსნო კლუბში სამხ. სამ. საყარაულო რაზმის მომღერალთა ჯარის კაცთა გუნდი ალექსანდრე მაისურაძის ლოტბარობით გამართავს კონცერტს დაჭრილ ჯარის კაცთა სასარგებლოდ.

გაყიდული ბილეთები 26-სთვის, გამოდგება 1-ლისათვის.

◆ ამ დღეებში ტფილისში ინგლისელებმა დააპატიმრეს ქ. შუშის კომენდანტად ნამყოფი ქიაზიმ ბეი, რომელიც ბოლო დროს ოსმალეთის ემისრად იყო ამიერ კავკასიაში.

◆ სომხეთის მზრუნველობის სამინისტროს წარმომადგენელი დავითხანიანი უარყოფს ტფილისში გავრცელებულ ხმებს, ვითომ რუსეთიდან წამოსულ სომხებს საქართველოში ფქვილს ართმევდენ.

◆ 28 ივლისს, ტფილისის სამაზრო ერობის ბინაზე გაიხსნა რესპუბლიკის ერობათა სტატისტიკოსების პირველი ყრილობა. თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა საერობო ცენტრის გამგეობის წევრი ის. სტურუა, რომელმაც მისასალმებელი სიტყვით გახსნა ყრილობა. ჯერ ჯერობით მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან და ტფილისის ერობის სტატისტიკურ განყოფილების წევრის მოხსენება.

◆ ტფილისის პოლიტეხნიკუმის რექტორმა ღამბარაშვილმა თეორეტიულ მექანიკის კათედრის ექსტრაორდინალურ პროფესორად მოიწვია ფილოსოფიის დოქტორი, პაუდელბერგის უნივერსიტეტის, ლაურეატი, ამიერ კავკასიის უნივერს. მათემატიკის კათედრის დოცენტი გ. ხარაზოვი, რომელსაც გერმანულ ენაზე მარქსიზმის შესახებ კაპიტალური ნაშრომები აქვს დაწერილი.

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის თვითმართველობა აცხადებს, რომ 1919 წელს, სამშაბათს აგვისტოს 4, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა ორ თვალიანი დუქანი და მასთანვე ერთი ოთახი, ქალაქის სახლში, ვოდოვოზნი ქუჩა. კონცესიების და ცნობების მიღება შეიძლება თვითმართველობის საიჯარო სამიწათ-მოქმედო მეოთხე განყოფილებაში, კანცელარიაში მუშაობის დროს, თვითმართველობის შენობაში. 1316 3 -2

ივანე პავლეს ძე ქიტინი აცხადება, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ქ. ტფილისის მილიციის სამართველოდან 12 მაისს. 1917 წელ. № 2900. გაუქმებულად ითვლება. 1013 3—2

დავკარგე პასპორტი, მიცემული ტფილისის მილიციის მიერ აქსენტი დიმიტრის ძე ქაჯაიას სახელზე, № 4631, 3 სექტემბრის 1918 წელს. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 1010 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 79872, 250 მან. ღირებულებისა. 960 3—1

გუსეინ ტაგი-ზადე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა, მოწმობა მიღებული ტფილისის მე-5 უბნის კომისარიატიდან. გაუქმებულად ითვლება. 1028 3—1

ვლადიმერ აბრამის ძე პოდკოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიიდან, გაუქმებულად ითვლება. 1029 3—1

წყალობა გრიგოლის-ძე ბასიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. კავთისხევის საზოგადოებიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული ტფილისის მაზრის უფროსისგან. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 1001 3—8

ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსი აცხადებს, რომ ზაქარია გიორგის ძე ანდარაზაშვილმა დაჰკარგა უვადო პასპორტი მილიციის უფროსის სამართველოსაგან მიცემული ამა წლის მაისის 24-ს № 18.

2) „ნაგანის" სისტემის რევოლვერის ტარების უფლების მოწმობა № 999 მიცემული მილიციის უფროსის მიერ, ივლისის 3-ს და 3) პარტიული ბილეთი მიცემული სოც. რევოლ. პარტიიდან. ამ საბუთების მპოვნელი ვალდებულია განაცხადოს მილიციის სამართველოში.
227 3—3

მეჰმედ უსა-მედინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მთავარ საბაჟოს კვიტანცია, რომლითაც ჩამოტანილი იყო ბათომიდან ტფილისში 16 ბოჩკა ზეთი 182 ფ. 10 გ. კვიტანცია გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 1006 3-3

25 ივლისს 1919 წლის საქართველოს გზათა სამმართველოს კანტორის მოხელე ალექსანდრე იასონის ძე იოსელიანმა დავკარგე ტფილისის სადგურზე „საფულე", რომელშიაც იყო 500 მანეთი ფული და სხვა და სხვა საჭირო საბუთები—სახელდობრ: პასპორტი, მიცემული ქუთაისის სამაზრო სამართველოსაგან ალექსანდრე იასონის ძის იოსელიანის სახელზე, უვადო, წელი და № არ მახსოვს. პიროვნების მოწმობა საქართველოს რკინის გზათა სამმართველოსაგან მიცემული 4 ივლისს 1919 წლის № 8560. ცოლის პიროვნების მოწმობა მიცემული იმავე სამმართველოს მიერ ფეოდოსია სვიმონის ასულ იოსელიანის 10 ივნისს 1919 წლისა № 8197; იარაღის ნებართვა ქალაქ ტფილისის მილიციის უფროსისაგან მიცემული 27/11 (ნოემბერს) 1918 წ. № 1528, რომელნიც უნდა ჩაითვალონ გაუქმებულად. 1008 3—3

ტფილისის მაზრის გარეუბნის სასამართლოს ბოქაული აცხადებს, რომ მის მიერ ამა აგვისტოს 10-ს დილის 10 საათზე დანიშნულია სოფელ საგარეჯოში საჯარო ვაჭრობა გარდაცვალებულ ბარბალე კარდანელის უძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს ორსართულიან ქვიტკირის სახლს, დასაქცევათ და მასალის წასაღებათ. ვაჭრობა დაიწყობა 400 მან. აღნიშნული ქონება აწერილია დიანოზ შავლიაშვილის ვალში. 1024 1—1

კონსტანტინე ალექსის ძე სკლოროვმა დაჰკარგა 6 კლ. გათავების მოწმობა, მიცემული ქალაქის რკინის გზის სასწავლებლიდან. ეს მოწმობა გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
1025 3—1

სამტრედიის სამომრიგებლო ნაწილის მომრიგებელი მოსამართლე თანახმად 1401 მუხ. სამოქალაქო საქმეთა წარმოებისა, იწვევს გარდაცვალებულის მცხოვრებ ქ. ალექსანდროპოლში იოსებ პავლეს ძე თევზაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება, თევზაძის ქონებაზე (1241 მუხლის ტ. X,—ნაწ. 1 სამოქ. კან.) 1026 1—1

1918 წ. აპრილის 9-ს ტფილისის ოლქ. სას. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ალექსანდრე ილიას ძე რუდნევმა 5500 მ. მიჰყიდა ზინაიდა პავლეს ასულს პისკუნოვას მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 34 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის მე 2 უბ. ქალაქ. № 215.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ.—1 მ. 50 კაპ., გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის 235 მან. 20 კ.

მთავარი ამონაწერი 29 მ. 50 კ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.
284 1—1

1918 წ. ოქტომბრის 15-ს ტფილისის ოლქ. სასამართლოს უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლიმონ გიორგის ძე განჯელოვმა 6000 მ. მიჰყიდა ივანე ზაქარიას ძე ჩრიკიშვილს მიწის ნაჭერი შენობებით, ზომით 44 კვ., ს. მდებარე ქ. ტფილისის მე-6 უბანში, პაულიჩინის ქ., ქალაქის № 56.

გადახდილია: სააქტო 3 მან., განცხ. 1 მ. 50 კ., გადასაწ. 60 კ., სიმტკიცის 240 მ.

მთავარი ამონაწერი 30 მან. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულა, 286 1—1

ამა წლის ივლისის 27-ს ტფილისის სისხლის სამართლის მილიციის [illegible] მიერ დაჭერილია პეტრე ლომ[illegible] და ალექსანდრე ბეზირგანოვი, რომელთაც ბრალი ედებათ სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედებაში. ბეზირგანოვი მიიმალა სასტუმრო „ბრისტოლიდან". მისი საქმე იყო ტფილისის საოლქო სასამართლოს გამომძიებელ ჯომარჯიძის ხელში.

1918 წ. ოქტომბრის 8-ს ტფილისის, ოლქ. სას. უფროს. ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნესტორ იოსების ძე გიორგობიანმა 30,000 მან. მიჰყიდა გიორგი ივანეს ძე კობიაშვილს მიწის ნაჭერი, ზომით 81 კვ. ს., მდებარე ქ. ტფილისის 1 უბანში, მოზდოკის ქ. და კიზლიარის შესახვ. კუთხეში, ქალაქ. № 1564.

გადახდილია: სააქტო—3 მან., განცხ.--1 მ. 50 კ., გადასაწ.—1 მ. 20 კ., სიმტკიცის—1200 მან.

მთავარი ამონაწერი 150 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია. 287 1—1

1918 წ. ოქტომბრის 10-ს ტფილისის ოლქ. სასამ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც თელავის მოქალაქემ გრიგოლ არტემის ძე ბეგიჯანოვმა 10,000 მიჰყიდა ისაკ ზაქარიას ძე მირველოვს მიწის ნაჭერი, ზომით 132 კვ. ს., მდებარე ქ. თელავში, ქალაქ. № 1393.

გადახდილია: სააქტო 3 მ., განცხ.—1 მან. 50 კ., გადასაწ.—60 კ. სიმტკიცის 400 მან.

მთავარი ამონაწერი 50 მ. ღირებულების სალერბო ქაღალდზე მიცემულია.
287 1—1

ვალერიან ვასილის ძე მუმლაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული შორაპნის მამასახლისისგან 18 ენკენისთვეს 1915 წ. № 174 და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული პირველი პოლკის მე 14 გუნდიდან 20 მაისს, 1919 წ. გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს.
1023 3—2

მე ბეგალაშვილმა ტიგრანმა დავკარგე მოწმობა № 562, საქართველოს რესპუბლიკის საპყრობილეთა მხლებელთა რაზმის უფროსისაგან მიცემული ამა წლის ივნისის 16 თარიღით გთხოვთ გაუქმებულათ ჩაითვალოს.
1019 3—2

დაკარგულია ტფილისის პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 79360, 50 მან.
1027 3—2

პორფირე ელიზბარის ძე იობაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტერის კანცელარიიდან 1907 წ. გაუქმებულათ ითვლება.
1014 3—2.

მაზადი ალი-უსეინ ასკერ-ზადე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი. გაუქმებულათ ჩაითვალოს.
957 3—2

გიორგი ალექსანდრეს ძე ჰაჰიაშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ყვირილის ქალ. გამგეობიდან. გაუქმებულათ ითვლება.
1022 3—2

თელავის ვაჟთა გიმნაზია

ამით აცხადებს, რომ მომავალი სამოსწავლო წლისთვის საჭიროა მასწავლებლები შემდეგი საგნებისა, გეოგრაფიისა, ბუნების მეტყველებისა, ფიზიკისა და მათემატიკისა. მსურველთ თხოვნები უნდა შემოიტანონ 15 მარიამობისთვემდე. 1303 3—3

ცენტრალური სასურსათო საბჭო

ყიდის კენჭ მარილს

ოც მანეთად ფუთს ფრანკო თავის საწყობში. მარილის შეძენა შეუძლიათ როგორც საზოგადო დაწესებულებას, ისე კერძო პირთ. მისამართი: მადათოვის ქ. № 3.
1319 3—3

სტამბა საქართველოს მთავრობისა

დროებითი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე